# ხშირად დასმული კითხვები (FAQ) – JBS სკოლა

**1. როდის იწყება სწავლა და რომელ კლასებში ცხადდება მიღება წელს?**

JBS სკოლა კარს მოსწავლეებისთვის **2026 წლის სექტემბერში** გააღებს. წლევანდელი სასწავლო წლისთვის რეგისტრაცია და მიღება უკვე მიმდინარეობს. ჩვენ ვიღებთ მოსწავლეებს **პრესქულში**, **I და II კლასებს.**

**2. რა არის სწავლის საფასური?**

2026-2027 სასწავლო წლისთვის, სწავლის წლიური საფასური შეადგენს 4250 - 4650 ევროს გააჩნია საფეხურს, ეს საფასური სრულად ფარავს როგორც ორენოვან აკადემიურ პროგრამას, ისე ველბიინგის პროგრამას და შემოქმედებით აქტივობებს. ასევე შედის სამჯერადი კვება (2 ხემსი და 1 სადილი) აკადემიური მასალები (წიგნები და საკანცელარიო), სკოლის ფორმა.

- მხოლოდ პირველ წელს დარეგისტრირებული ოჯახებისთვის - ფორმდება 6-წლიანი ხელშეკრულება (თანხის გაზრდის უფლების გარეშე), რაც უზრუნველყოფს სტაბილურობას ბავშვისთვის და მათი ოჯახებისთვის. ოჯახები რომლებიც პირველ წელს შემოგვიერთდებიან, ჩაითვლებიან სკოლის დამფუძნებლებად და მათი სახელი და გვარები გამოკრული იქნება სკოლის დამფუძნებლების სახელების გვერდით ახალ კამპუსში.
- მშობლებს, რომლებიც ბავშვის ჩარიცხვას მომავალ წელს აპირებენ, განახლებული საფასურის შესახებ ინფორმაცია ამ წლის ბოლოს მიეწოდებათ.

**3. მოქმედებს თუ არა ფასდაკლება დედმამიშვილებზე (და-ძმაზე)?**

დიახ, ჩვენთვის ოჯახის ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია. იმ ოჯახებისთვის, რომელთა რამდენიმე შვილიც ჩვენთან სწავლობს, მოქმედებს სპეციალური საოჯახო ფასდაკლება, მეორე და ყოველ მომდევნო შვილზე ვრცელდება **15%** ფასდაკლება სწავლის წლიურ საფასურზე.

**4. მაქსიმუმ რამდენი მოსწავლეა თითოეულ კლასში?**

ინდივიდუალური განვითარება და მოსწავლეებზე ფოკუსირება ჩვენთვის უმთავრესია. ამიტომ, კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა ლიმიტირებულია. თითოეულ კლასში მაქსიმუმ **15-18** მოსწავლეა, რაც გვაძლევს საშუალებას, მასწავლებელმა სათანადო ყურადღება დაუთმოს თითოეულ მათგანს.

**5. სკოლის ფილიალი მხოლოდ თბილისში მდებარეობს?**

დიახ, ამ ეტაპზე JBS სკოლის პირველი და მთავარი კამპუსი იხსნება თბილისში (ოთარ ჩხეიძის ქუჩა #5).

**6.უზრუნველყოფს თუ არა სკოლა ავტობუსებით მომსახურებას?**

დიახ, ჩვენთვის მოსწავლის უსაფრთხოება და კომფორტი სახლიდან გამოსვლის წუთიდან იწყება. სკოლა იზრუნებს მოსწავლეების შეუფერხებელ გადაადგილებაზე. ტრანსპორტირების ქსელის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება სასწავლო წლის დაწყებამდე.

- ტრანსპორტირება სახლიდან სკოლამდე და უკან
  - ქალაქის ძირითად ლოკაციებიდან — 750 EUR წელიწადში

**7. როგორ შემიძლია მივიღო სკოლის ბროშურა?**

ჩვენი სრული ხედვისა და პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ბროშურა ვებგვერდიდან: www.jbsschool.ge. გარდა ამისა, დიდი სიამოვნებით გამოგიგზავნით მას პირადად, თუ დაგვიკავშირდებით ტელეფონზე (+995 511 703 344) ან მოგვწერთ სოციალურ ქსელებში, ან ელფოსტაზე contact@jbsschool.ge

**8. რა არის JBS სკოლა და რატომ გაჩნდა მისი შექმნის საჭიროება?**

დღეს ბავშვები სწრაფად ცვალებად, ტექნოლოგიურად დატვირთულ და კონკურენტულ სამყაროში იზრდებიან . ტრადიციული განათლების სისტემები ძირითადად აკადემიურ შედეგებზე ფოკუსირდება, რის გამოც ფიზიკური ჯანმრთელობა და ემოციური მდგრადობა ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. JBS სკოლა შეიქმნა სწორედ ამ გამოწვევის საპასუხოდ. ჩვენ ვქმნით სივრცეს, სადაც ბავშვი სრულად ვითარდება: გონებით, სხეულითა და ხასიათით.

**9. რა განსხვავებაა JBS Academy-სა და JBS School-ს შორის?**

ჩვენი სტრუქტურა აერთიანებს აკადემიურ განათლებასა და პროფესიონალურ სპორტს ერთ სივრცეში:

- **JBS Academy:** ეს არის მთავარი ეკოსისტემა - პროგრესული საგანმანათლებლო და სპორტული პლატფორმა, რომელიც თავის თავში აერთიანებს მსოფლიო დონის პროექტებს (NBA Basketball School Georgia, Johan Cruyff Institute).
- **JBS School:** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სადაც ხორციელდება ჩვენი ორენოვანი პროგრამა, 5 და მეტი წლის მოსწავლეებისთვის.

**10. როგორია სკოლის აკადემიური პროგრამა და რა დიპლომს იღებენ მოსწავლეები?**

ჩვენი პროგრამა მომთხოვნი, ინტენსიური, ინტელექტუალურად დასაბუთებული და თანამედროვეა.

- **პროგრამა:** ჩვენი პროგრამა შესაბამისობაშია ამერიკულ Common Core პროგრამასთან პრიველივე კლასიდან. ეს კეთდება იმისთვის რომ სტუდენტებმა თავისუფლად დაძლიონ IB და AP გამოცდები მე-10 კლასიდან დაწყებული.
- **დიპლომი:** მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) დიპლომი, ამერიკული დიპლომი და ქართული ატესტატი. ჩვენი სკოლის მოსწავლეებს

სურვილის შემთხვევაში შეეძლებათ სამივე დიპლომის ერთდროულად მიღება.
- **აკრედიტაცია:** სკოლა გადის ადგილობრივ ავტორიზაციას და ასევე გეგმავს საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებას Middle States Association-ისგან რომელიც არის ერთერთი წამყვანი ორგანიზაცია აშშ-ში.

**11. რით განსხვავდება ჰოლისტური მიდგომა ტრადიციული სკოლისგან?**

ჰოლისტური განათლება (Whole Child Education) ჩვენთან განათლების ფუნდამენტია. ჩვენ ვუზრუნველყოფთ მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნის, ფიზიკური განვითარების, ემოციური კეთილდღეობისა და პიროვნული ზრდის უწყვეტ პროცესს.

იხილეთ კვლევები:

Whole-Child as Systemic Framework (ASCD & CDC -2023)

Learning Policy Institute - Social-Emotional Learning (SEL) Enhances Academic & Life Outcomes (2022)

OECD, Future of Education and Skills 2030 –Performed (2018)

**12. რას ნიშნავს JBS?**

აბრივიატურა JBS დაკავშირებულია ჯანო ბაგრატიონის სახელობის სკოლა/აკადემიასთან. **ჯანო ბაგრატიონი** იყო გამორჩეული ქართველი სპორტსმენი და სპორტული ლიდერი, საზოგადო მოღვაწე.

მისი უმთავრესი ისტორიული დამსახურებაა **საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მეორე პრეზიდენტობა**. მან უდიდესი როლი ითამაშა დამოუკიდებელი ქართული სპორტის საერთაშორისო ოლიმპიურ ოჯახში ინტეგრაციაში.

სწორედ მისმა ხედვამ, დისციპლინამ და ახალგაზრდების განვითარებისადმი მიდგომამ შთააგონა მის შთამომავლებს JBS (ჯანო ბაგრატიონის) სკოლისა და აკადემიის შექმნა.

**13. რას ნიშნავს JBS 5R კულტურა და როგორ აყალიბებთ ბავშვის ხასიათს?**

ჩვენი მიზანი იყო, შეგვექმნა გარემო, სადაც თანაბრად ზრუნავენ ბავშვის გონების, სხეულისა და ხასიათის განვითარებაზე,  ამ მიზანს ემსახურება ჩვენი პიროვნული განვითარების 5 ძირითადი პრინციპი:

პასუხისმგებლობა (Responsibility), - Students take ownership of their decisions, actions, and preparation. They learn to embrace accountability, follow through consistently, and understand that personal standards drive personal outcomes.

მედეგობა (Resilience), - Students develop the capacity to recover quickly from setbacks. They practice maintaining composure under pressure, adapting to challenges, and sustaining effort despite difficulty or disappointment

ურთიერთობები (Relationships), - Students learn to build trust, communicate with respect, and contribute positively to team and community dynamics. They understand that strong relationships are performance multipliers in both academics and athletics.

რეფლექსია (Reflection) - Students learn to pause, analyze, and adjust. They develop the habit of reviewing their performance, identifying patterns, and making informed changes to improve their

future actions.

და დაუღალავი შრომა (Relentless Effort). - Students commit to consistent hard work regardless of circumstances. They learn that sustained effort—more than talent—creates long-term success, and that excellence is a daily practice, not an occasional act.

**14. რა არის Wellbeing (კეთილდღეობის) სისტემა და რატომ ექცევა მას ამხელა ყურადღება?**

JBS-ში ვხელმძღვანელობთ პრინციპით:

**Better function → Better learning**. ბავშვის შინაგანი მდგომარეობა პირდაპირ განსაზღვრავს მის სწავლის უნარს. Wellbeing სისტემა აერთიანებს: ემოციური ინტელექტის განვითარებას, სტრესის მართვას, სწორ კვებას, ძილის/აღდგენის რეგულაციასა და ფიზიკურ გამძლეობას.

**15. რა როლი აქვს სპორტს JBS სკოლაში?**

ჩვენთან სპორტი არ არის დამატებითი წრე - ყველა აქტივობა ყოველდღიური ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია. მოსწავლეები ყოველდღიურად ერთვებიან ფიზიკურ აქტივობებში, ასაკის შესაბამისად. აქტივობები როგორც არის: ველბიინგის ფიზიკური ვარჯიშები, ბავშვების იოგა, ქართული ცეკვა, კარატე, ჰიპ-ჰოპი, ჩატარდება სკოლის შენობაში. ხოლო გუნდური სპორტის სახეობები როგორც არის კალათბურთი და ფეხბურთი ჩატარდება ჩვენს პარტნიორ აკადემიებთან ლისის ტბის მიმდებარედ. სპორტით ჩვენ ვასწავლით დისციპლინას, ლიდერობასა და გუნდურობას.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **ვებგვერდი:** www.jbsschool.ge
- **ტელეფონი:** +995 511 703 344
- **მისამართი:** თბილისი, ო. ჩხეიძის 5
- **სოციალური ქსელები:** Facebook, Instagram, LinkedIn

**16. სად მზადდება ბავშვების კვება?**

იქნება ჯანსაღი კვება. ჩვენთან საკვები არ მზადდება, ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს სხვადასხვა კომპანიებთან რომლებიც უზრუნველყოფენ დაბალანსებულ საკვებს, რომლის მენიუსაც მოგაწვდით მალევე.

**17. რატომ უნდა შეაჩეროს მშობელმა არჩევანი ამ სკოლაზე? რაში მდგომარეობს მისი უნიკალურობა?**

ეს კითხვა სრულიად ბუნებრივია — და სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენც ზუსტად ამაზე ვიფიქრეთ, როცა სკოლას ვქმნიდით: რა უნდა იყოს ისეთი, რაც მშობელს და ბავშვს რეალურად მისცემს განსხვავებულ გამოცდილებას?

პირველ რიგში, ჩვენი სკოლის უნიკალურობა არის **ბალანსში**.
ბავშვები იღებენ ძლიერ აკადემიურ განათლებას, მაგრამ ამავე დროს ყოველდღიურ ცხოვრებაში აქვთ სპორტი, wellbeing პროგრამა და პიროვნული განვითარების კომპონენტები. ანუ სკოლა არ არის მხოლოდ „სწავლა“ — ეს არის გარემო, სადაც ბავშვი მთლიანად ვითარდება.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია **საერთაშორისო სტანდარტები თავიდანვე**.
ჩვენ არ ველოდებით წლების შემდეგ განვითარებას — ჩვენ უკვე დღეს ვნერგავთ ამერიკულ სასწავლო მიდგომებს, მასწავლებლების საერთაშორისო სერტიფიცირებას და გვაქვს მკაფიო გეგმა, რომ სკოლა აკრედიტირდეს ერთ-ერთ ყველაზე სანდო საერთაშორისო ორგანიზაციაში.

მესამე—**გუნდი**.
სკოლას ქმნიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ რეალური საერთაშორისო გამოცდილება და ამავე დროს კარგად ესმით, რა სჭირდებათ ქართველ ბავშვებს და მშობლებს. ეს კომბინაცია იშვიათია და სწორედ აქედან მოდის ხარისხიც.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ თავიდანვე ვაქცევთ ყურადღებას **მომავალზე ორიენტირებულ უნარებს** — ფინანსური აზროვნება, ტექნოლოგიების გაგება, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. ეს ის ცოდნაა, რასაც ბავშვები ჩვეულებრივ სკოლებში ნაკლებად იღებენ, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ყველაზე მეტად სჭირდებათ.

და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია—**გარემო**.
გვინდა, რომ ეს იყოს ადგილი, სადაც ბავშვი სიამოვნებით მოდის, გრძნობს მხარდაჭერას და არ ეშინია საკუთარი აზრის გამოხატვის.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი მიზანია არ ვიყოთ უბრალოდ კიდევ ერთი კარგი სკოლა — გვინდა შევქმნათ ისეთი სივრცე, სადაც ბავშვი მიიღებს იმ საფუძველს, რომელიც მომავალში რეალურად გამოარჩევს

**18. რა ეტაპებისგან შედგება რეგისტრაციის პროცესი?**

პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

**1. რეგისტრაცია / განაცხადის შევსება**
პირველ ეტაპზე მშობელი ავსებს განაცხადს და აფიქსირებს ინტერესს სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

**2. მშობლებთან შეხვედრა / პრეზენტაცია**
გთავაზობთ სკოლის დეტალურ გაცნობას — როგორია ჩვენი მიდგომა, პროგრამა და ყოველდღიური ცხოვრება. ეს მნიშვნელოვანია, რადგან გვინდა, რომ მშობელმა სრულად გაიგოს, რას ვაკეთებთ და რატომ.

**3. ბავშვის გაცნობა (school readiness / assessment)**

- **Pre-school და Grade 1-ის შემთხვევაში**:
  პროცესი არის უფრო **დაკვირვებაზე დაფუძნებული** — ბავშვი მონაწილეობს მარტივ, ასაკისთვის შესაბამის აქტივობებში (თამაში, კომუნიკაცია, ელემენტარული ამოცანები).
  არ არის ტესტის ფორმატი — ვაკვირდებით ბავშვის კომუნიკაციას, ინტერესს, თვითრეგულაციას და მზაობას.
- **Grade 2-ში გადმომსვლელთათვის**:
  შესაძლებელია მსუბუქი **აკადემიური შეფასება (pre-test)**, რათა გავიგოთ ბავშვის დონე და როგორ დავეხმაროთ სწორად ინტეგრაციაში.

**4.საჭიროების შემთხვევაში — ფსიქოლოგთან გასაუბრება**
ეს ეტაპი არ არის სავალდებულო ყველასთვის, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში გვეხმარება უკეთ გავიგოთ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და სწორად დავგეგმოთ მისი ადაპტაცია.

**5.საბუთების. წარმოდგენა**

მშობელი წარმოადგენს აუცილებელ დოკუმენტაციას (პირადი მონაცემები, ჯანმრთელობის ფორმა და სხვა სტანდარტული ინფორმაცია).

**6. შეთავაზება და ჩარიცხვა**

თუ ორივე მხარე (სკოლა და ოჯახი) ვთვლით, რომ ეს სწორი გარემოა ბავშვისთვის, ხდება:

- ჩარიცხვის შეთავაზება
- **ხელშეკრულების გაფორმება**
- **პირველადი შენატანის გადახდა**, რაც ადგილის დაჯავშნას უზრუნველყოფს

გვინდა, რომ სკოლაში მოხვედრა იყოს ბავშვისთვის **პოზიტიური გამოცდილების დასაწყისი**, და მშობლისთვის — კარგად გააზრებული გადაწყვეტილება.